

შპს GEOFIBRE

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოების (მსს ფასს) მიხედვით

2021 წლის საანგარიშო პერიოდზე

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

7-17

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....

7-17

(ა) უცხოური ვალუტა

7-17

(ბ) შემოსავლის აღიარება

7-17

(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

7-17

(დ) გადასახადები

7-17

(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

7-17

(ვ) ძირითადი საშუალებები

7-17

(ზ) არამატერიალური აქტივები

7-17

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

7-17

(ი) მომუშავეთა გასამრჯელო

7-17

(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

7-17

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

7-17

(მ) ხარჯად აღიარება.....

7-17

(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

7-17

(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

7-17

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება

17-24

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020	2019
გრძელვადიანი აქტივი				
არამატერიალური აქტივები	5	0	512	1,024
ძირითადი საშუალებები	5	3,491,243	3,573,267	3,688,260
გრძელვადიანი აქტივი - ჯამი		3,491,243	3,573,779	3,689,283
მოკლევადიანი აქტივი				
მზა პროდუქცია	6	91,459	176,360	222,930
მიმდინარე მარაგი	6	1,411,550	1,398,614	811,472
საგადასახადო აქტივი		131,515	145,148	126,857
გადახდილი ავანსი		61,717	91,473	347,678
პერსონალის მიმართ მოთხოვნა		0	0	129
სავაჭრო მოთხოვნა		1,848,520	352,021	0
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	1,193,673	1,366,137	1,454,216
სხვა მიმდინარე აქტივები		780	0	0
მოკლევადიანი აქტივი - ჯამი		4,739,214	3,529,754	2,963,282
სულ აქტივები		8,230,456	7,103,533	6,652,566
კაპიტალი				
დაგროვილი მოგება ზარალი		(771,002)	(1,654,144)	(2,058,103)
საწესდებო კაპიტალი		8,643,900	8,643,900	8,643,900
კაპიტალი - ჯამი		7,872,898	6,989,756	6,585,797
მოკლევადიანი ვალდებულება				
საგადასახადო ვალდებულება		0	33,021	0
საპენსიო ვალდებულება		0	459	3,338
სავაჭრო ვალდებულება		357,058	80,297	63,430
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		500	0	0
მოკლევადიანი ვალდებულება - ჯამი		357,558	113,777	66,768
სულ კაპიტალი და ვალდებულება		8,230,456	7,103,533	6,652,565

შპს "GEOFIBRE"
დირექტორის მინდობილი პირი
იასინ აბდულოლაჰ ზერენ

შპს "GEOFIBRE"
მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაძე

7 - 27-ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელი ნაწილია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020	2019
ამონაგები	8	10,604,613	8,351,383	9,003,211
თვითღირებულება	8	(9,162,329)	(7,843,438)	(7,575,829)
საერთო მოგება/ (ზარალი)		1,442,284	507,944	1,427,382
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი		(153,911)	0	(429)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(256,267)	(290,704)	(214,053)
სხვა საერთო ხარჯი	10	(231,658)	(100,608)	(33,283)
ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯი		(13,173)	(40,805)	(12,953)
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)		(655,009)	(432,117)	(260,717)
საპროცენტო შემოსავალი		0	3,750	3,599
კურსთაშორის სხვაობა		(156,709)	187,844	30,553
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	11/14	435,389	215,792	160,576
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	12/14	(182,813)	(79,255)	(74,190)
არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)		95,867	328,131	120,538
მიმდინარე წლის მოგება		883,142	403,959	1,287,204

შპს "GEOFIBRE"

დირექტორის მინდობილი პირი
იასინ აბდულლაჰ ზერენ



შპს "GEOFIBRE"

მთავარი ბუღალტერი
გულნაზაბეიძე

7 – 27-ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

სულ საკუთარი კაპიტალი							
წელი	მოგება ზარალი		მოგება ზარალი - ჯამი	საწესდებო კაპიტალი		საწესდებო კაპიტალი - ჯამი	წლის საკუთარი კაპიტალი
	საწყისი დაგროვილი მოგება ზარალი	მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი		საწყისი საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება		
2019	(3,345,306)	1,287,204	(2,058,103)	0	8,643,900	8,643,900	6,585,797
2020	(2,058,103)	403,959	(1,654,144)	8,643,900	0	8,643,900	6,989,756
2021	(1,654,144)	883,142	(771,002)	8,643,900	0	8,643,900	7,872,898

შპს "GEOFIBRE"
დირექტორის
მინდობილი პირი
იასინ აბდულლაჰ ზერენ



შპს "GEOFIBRE"
მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაიძე

7 - 27-ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების

განუყოფელი ნაწილია.

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2021	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლისგან მიღებული ფული	8,798,182	8,121,042	10,447,975
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	(6,858,202)	(5,249,386)	(6,351,983)
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული	(1,435,618)	(1,081,362)	(1,023,700)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი	(267,393)	(379,713)	(275,299)
საპენსიო სააგენტოში გადახდილი	(60,252)	(47,310)	(39,300)
მიღებული ავანსი	201,612	0	0
გადახდილი ავანსი	(215,596)	(1,536,554)	(1,337,483)
ბიუჯეტიდან მიღებული თანხა	70,770	213,443	0
საპენსიო სააგენტოდან მიღებული თანხა	95	9	1,089
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	233,598	40,169	1,421,299
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	0	0	58,467
ძირითადი საშუალების შეძენა	(332,796)	(248,426)	(123,661)
მიღებული პროცენტი	0	3,750	3,599
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(332,796)	(244,676)	(61,595)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	0	0	0
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(99,198)	(204,507)	1,359,704
სავალუტო ცვლილების ეფექტი	(73,267)	116,300	(10,181)
საწყისი ფულადი ნაშთი	1,366,139	1,454,346	104,823
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	1,193,674	1,366,139	1,454,346

შპს "GEOFIBRE"

დირექტორის მინდობილი პირი
იასინ აბდულოლაკ ზერენ



7-27-ის წათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელი ნაწილია.

შპს "GEOFIBRE"

მთავარი ბუღალტერი
გელა ვაზიძე

ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი
შენიშვნები

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

7-17

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....

7-17

(ა) უცხოური ვალუტა

7-17

(ბ) შემოსავლის აღიარება

7-17

(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

7-17

(დ) გადასახადები

7-17

(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

7-17

(ვ) ძირითადი საშუალებები

7-17

(ზ) არამატერიალური აქტივები

7-17

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

7-17

(ი) მომუშავეთა გასამრჯელო

7-17

(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

7-17

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

7-17

(მ) ხარჯად აღიარება.....

7-17

(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

7-17

(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

7-17

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება

17-24

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
სულ აქტივი			
სულ გრძელვადიანი აქტივი			
არამატერიალური აქტივები	შენიშვნა 1	0	512
ძირითადი საშუალებები	შენიშვნა 1	3,491,243	3,573,267
სულ გრძელვადიანი აქტივი		3,491,243	3,573,779
სულ მოკლევადიანი აქტივი			
წინასწარ გაწეული ხარჯი		780	0
მზა პროდუქცია	შენიშვნა 2	93,019	177,920
მიმდინარე მარაგი	შენიშვნა 3	1,409,990	1,397,054
გადახდილი ავანსი		54,412	91,473
სავაჭრო მოთხოვნა		1,848,520	352,021
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	შენიშვნა 4	1,193,673	1,366,137
სხვა მიმდინარე აქტივები		142,079	150,441
სულ მოკლევადიანი აქტივი		4,742,472	3,535,047
სულ აქტივი		8,233,715	7,108,826
სულ კაპიტალი და ვალდებულება			
სულ კაპიტალი			
დაგროვილი მოგება/ზარალი		(757,524)	(1,648,780)
საწესდებო კაპიტალი		8,643,900	8,643,900
სულ კაპიტალი		7,886,376	6,995,120
სულ მოკლევადიანი ვალდებულება			
საგადასახადო ვალდებულება		(1,300)	32,950
საპენსიო ვალდებულება		(1,615)	459
სავაჭრო ვალდებულება		349,753	80,297
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		500	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულება		347,338	113,706
სულ კაპიტალი და ვალდებულება		8,233,714	7,108,826

შპს "GEOFIBRE"
დირექტორის მინდობილი პირი
იასინ აბდულლაჰ ზერენ

შპს "GEOFIBRE"
მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაიძე

აუდიტორი
ირმა ჩხაიძე

მოგება-ზარალი და სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021
მიმდინარე წლის მოგება		
სულ საერთო მოგება		
ამონაგები	შენიშვნა 5	10,592,725
თვითღირებულება	შენიშვნა 6	(9,162,329)
სულ საერთო მოგება		1,430,396
სულ საოპერაციო მოგება		
სხვა საოპერაციო შემოსავალი	შენიშვნა 7	11,889
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი		(153,911)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	შენიშვნა 8	(269,441)
სხვა საერთო ხარჯი	შენიშვნა 9	(231,658)
სულ საოპერაციო მოგება		(643,121)
სულ არასაოპერაციო მოგება		
კურსთაშორის სხვაობა ნეტო		(156,709)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	შენიშვნა 10	281,543
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	შენიშვნა 11	(20,853)
სულ არასაოპერაციო მოგება		103,982
მიმდინარე წლის მოგება		891,257

შპს "GEOFIBRE"
 დირექტორის მინდობილი პირი
 იასინ აბდულლაჰ ზერენ

შპს "GEOFIBRE"
 მთავარი ბუღალტერი
 გელა გაბაიძე

აუდიტორი
 ირმა ჩხაიძე

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ლარი)

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

სულ საკუთარი კაპიტალი დაგროვილი მოგება			სულ საბოლოო
საწესდებო კაპიტალი			
2021			
კაპიტალის საწყისი ღირებულება	(1,648,780)	8,643,900	6,995,120
მოგება ზარალი	891,257	0	891,257
კაპიტალის საბოლოო ღირებულება	(757,524)	8,643,900	7,886,376

შპს "GEOFIBRE"
დირექტორის
მინდობილი პირი
იასინ აბდულლაჰ ზერენ

შპს "GEOFIBRE"
მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაიძე

აუდიტორი
ირმა ჩხაიძე

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	
	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	
მომხმარებლისგან მიღებული ფული	8,868,952
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	(7,193,650)
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული	(1,424,260)
სხვა საბიუჯეტო გადასახადი	(275,320)
საპენსიო სააგენტო	(60,157)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(84,434)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	
ავანსის სახით მიღებული	201,612
ავანსის სახით გადახდილი	(216,376)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(14,764)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	
სავალუტო ცვლილების ეფექტი	(73,267)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(73,267)
ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთები	
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1,366,137
ნაშთი პერიოდის ბოლოს	1,193,673

შპს "GEOFIBRE"
დირექტორის მინდობილი პირი
იასინ აბდულლაჰ ზერენ

შპს "GEOFIBRE"
მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაიძე

აუდიტორი
ირმა ჩხაიძე

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ლარი)

ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი
შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს "GEOFIBRE" (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2008 წლის 10 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომრით 245621233 კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად 2008 წლის 26 ივლისს.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი, ტბეთის ქუჩა N6, ხოლო ფაქტიური მისამართი: ბათუმი, ტბეთის ქუჩა N6.

კომპანიის სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულს წელს, რომელიც იწყება 1 იანვრიდან (რეგისტრაციის წელს, რეგისტრაციის თარიღიდან) და მთავრდება იმავე წლის 31 დეკემბერს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა.

რეგისტრაციის თარიღისთვის კომპანიის დირექტორის უფლებამოსილების შესრულება დაევა ნეჟათ ონენს (პ/ნ 17711746318, U 07058744) /თურქეთი/, ხოლო ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორი და წილობრივი მფლობელობა გამოიყურება შემდეგნაირად:

დირექტორები

1. ნეჟათ ონენი (პ/ნ 17711746318, U 07058744) /თურქეთი/

წილის მფლობელები

1. სააქციო საზოგადოება ბეტარექს მეტალიზე იფლიქ ვე ამბალაჟ სანაი (0167001169400016) /თურქეთი/

კომპანიის მენეჯმენს ახორციელებს დირექტორის მინდობილი პირი იასინ აბდულლაჰ ზერენ.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შ.პ.ს GEOFIBRE ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, სამრეწველო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივების შეფასება და შედეგად კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით დაკავშირებით ანგარიშგების შედგენიდან მომდევნო მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ზოგადი

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძარისობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას.
- ბ) სრული შემოსავლის ანგარიშგებას

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

გ) საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას

დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას (პირდაპირი მეთოდით)

ე) განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

კურსები საანგარიშო პერიოდის ბოლოს :

დოლარი	ევრო
31.12.2020 – 3.2766	31.12.2020 – 4.0233
31.12.2021 – 3.0976	31.12.2021 – 3.5040

(ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით., დარიცხვის მეთოდით, შემოსავლის მიღების უფლების მოპოვების შესაბამისად. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

კომპანიის ძირითადი შემოსავალი გენერირებულია წარმოებული ტექსტილის ბოჭკოს (მაფის) ექსპორტზე რეალიზაციიდან .

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ა) კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს
- ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს
- გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა
- დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

(დ) გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, კომპანიის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივები, (გარდა არამატერიალური აქტივისა) ქონების კუთვნილი გადასახადი გაიანგარიშება წელიწადში ერთხელ ქონების საშუალო წლიური ღირებულებიდან და წელიწადში ერთხელ გასული წლის გადასახადის ოდენობით მიმდინარე გადასახადის სახით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

ძირითადი საშუალებები

შენობები

მანქანა დანადგარები

ავეჯი და სხვა ინვენტარი

დაცვის სისტემები

სატრანსპორტო საშუალებები

სასარგებლო გამოყენების ვადები

30 - 50 წლამდე

5 - 10 წლამდე

5 - 10 წლამდე

5 - 10 წლამდე

5 - 10 წლამდე

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ზ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც შემდგომ აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიაჩნიათ ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების

**შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)**

ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

(ი) მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ

**შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)**

საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო ჩაირთვება აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

1. გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით)
2. კანონმდებლობიდან
3. სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

გარკვეულ პასუხისმგებლობებს და შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიას ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში მოიაზრება ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: ფულად სახსრებს, სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს და სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებლო უფლებას. ფინანსური აქტივის თვითღირებულების აღიარება ხდება თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული ღირებულებით, რომელსაც ემატება თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე დამატებით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, აკლდება თავდაპირველად აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე მიღებული ძირისა და პროცენტის თანხები და აკლდება გაუფასურების ზარალის თანხა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია არ იყენებდა რაიმე ტიპის სვოპ და ფორვადულ კონტრაქტებს, სავალუტო და საპროცენტო რისკების შემცირებისთვის.

(მ) ხარჯად აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ ორივე საწარმოს აკონტროლებს ერთი და იგივე პიროვნება. თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

**შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

1. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 1

	სულ ძირითადი საშუალება							სულ საბოლოო
	არამატერიალური აქტივი	მანქანა დანადგარები	მიწის ნაკვეთი	ოფისის ადგიურილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სახანძრო სისტემები	შენობა ნაგებობა	
2021								
საწყისი საბალანსო ღირებულება	512	456,573	790,300	22,291	100,915	0	2,203,188	3,573,779
სულ ძირითადი საშუალებები	0	246,167	43,608	3,020	0	33,898	0	326,694
სულ ცვეთა	0	308,960	0	20,316	28,825	565	50,053	408,718
სულ ამორტიზაცია	512	0	0	0	0	0	0	512
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	(0)	393,781	833,908	4,995	72,090	33,333	2,153,135	3,491,243

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

(ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ღირებულებას, შეძენაზე დაუბრუნებად გადასახადებს, ასევე პირდაპირი ხარჯებს, ადგილამდე მოწოდებასთან დაკავშირებით სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე. კომპანია ცვეთის გაანგარიშებისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

2. მიმდინარე მარაგები

შპს “ჯეოფიბრე ” ხელშეკრულებით იღებს ნედლეულს საბაჟო იმპორტის რეჟიმში, რომელსაც დამუშავების შემდეგ ემატება გაწეული დანახარჯების ღირებულება და ექსპორტის რეჟიმში ხდება საქართველოდან მიწოდება თურქეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებულ დამფუძნებელ კომპანია.

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია მთლიანად ექცევა ექსპორტის რეჟიმში კომპანია არ ახდენს მარაგების თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირეს ფასამდე ჩამოფასებას

მარაგები, 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 2

ანგარიშგება	2021	2020
სამშენებლო მასალები (YAPI MALZEMELERI)	39	0
პროდუქტები სამზარეულოსათვის (URUNLER MUTFAGI)	3,388	1,031
წარმოების მანქანა დანადგარები (URETIM NAKINELERI)	8	832
სამედიცინო მასალები	109	236
ყუთები (KUTULAR) (11 MABAR)	29,428	15,835
კოჭები (MAS Masura) (11 AMBAR)	119,166	108,043
დამხმარე მასალა (MUHTELIF) (11 MABAR)	18,041	15,143
ნაილონის და პოლესტერის ძაფი NAYLON (71 AMBAR)	638,292	786,246
ადგილზე წარმოებული ძაფი შუალედური ანგარიში (68 AMBAR)	118,811	40,785
ფირები FILM DILIM PARTI (77 AMBAR)	385,774	357,514
წარმოების სხვა დამხმარე მასალები	49,494	46,003
მანქანა დანადგარები ინვენტარი და ავეჯი	448	6,420
შუალედური ანგარიში	25,302	0
ადგილზე დაჭრილი ძაფის მოძრაობა	11	0
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი (DIGER MALZEME TEMINI)	25	136
სამეურნეო საქონელი (TARIMSAL MALZEMELER)	429	0
საწ.ტერიტორიის მოვლა შენახვისთვის საჭირო საქონელი	35	0
სპეც ტანსაცმელი	2,626	372
მშენებლობის მცირეფასიანი საქონელი (UCUZ MAI INSAAT)	86	439
სხვადასხვა აქსესუარები (CESITLI AKSESUARLAR)	11,346	10,717

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი საქონელი (UCUZ COK AMACLI KULLANIMLAR)	6,274	6,184
სახანძრო ინვენტარი (შრომის უსაფრთხოება)	862	1,119
სულ ჯამი	1,409,990	1,397,054

მარაგები არის აქტივები. აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ზოგადად, პროდუქციის მწარმოებელი საწარმოსთვის მარაგები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- (ა) მზა პროდუქცია-აქტივები გამიზნულია გასაყიდად ჩვეული საქმიანობის პროცესში;
- (ბ) დაუმთავრებელი წარმოება-აქტივები მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში;
- (გ) სახარჯი მასალები-აქტივები, რომლებიც წარმოდგენილია მასალების სახით და განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისთვის.
- (დ) ნედლეული და მასალები-აქტივები, რომლებიც წარმოდგენილია ნედლეულის სახით და განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისთვის.

სახარჯი მასალები და ნედლეული და მასალები გამიზნულია საწარმოს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში გამოსაყენებლად, მზა პროდუქცია, პირველ რიგში, განკუთვნილია მომხმარებლებზე გასაყიდად.

მარაგები წარმოადგენს მოკლევადიან აქტივებს:

როდესაც ელემენტები, როგორცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნოლოგიური საშუალებებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები ვერ აკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების განმარტებას ისინი კლასიფიცირდებიან, როგორც მარაგები.

კომპანია სასაქონლო-მატერიალურ საშუალებებს აღრიცხავს თვითღირებულებასა და შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც აკლდება მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ჩამოწერისთვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

3. მზა პროდუქცია

მზა პროდუქცია, 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 3		
ანგარიშგება	2021	2020
მზა პროდუქცია ახალი	1,560	1,560
DOKTERKON	91,459	176,360
სულ ჯამი	93,019	177,920

4. ფულის და ფულის ექვივალენტი

ფულის და ფულის ექვივალენტი, 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 4

ანგარიშგება	2021	2020
ნადდი ფული ეროვნულ ვალუტაში (KES PARA NASYONAL-ILARI))	509	7,304
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (NASYONAL BANKALAR) LARI	6,867	141,832
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში (YABANCI PARA BANKA)	1,186,297	1,217,001
სულ ჯამი	1,193,673	1,366,137

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის. საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების ნაშთების კლასიფიცირება შეიძლება როგორც რისკის გარეშე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც განთავსებულია კომპანიის მიმდინარე ანგარიშები არის საიმედო და ფართოდ ცნობილი ქართული საფინანსო ორგანიზაციები. ანგარიშგების პერიოდისათვის კომპანიას გააჩნია დეპოზიტები მომსახურებ ბანკებში.

5. ამონაგები

ამონაგები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 5

ანგარიშგება	2021
ექსპორტი - რეალიზაცია გასხ.შემდეგ	10,273,954
რეალიზაცია გასხ. შემდეგ Salim Winding Works	118,710
რეალიზაცია PORO- PLAST LLC	200,061
სულ ჯამი	10,592,725

6. თვითღირებულება

თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 6

ანგარიშგება	2021
რეესპორტიზე გაშვებული საქონელი (IHTARAC URUNLERI)	(8,254,119)
საწვავი ღირებულება (MAZOT)	(20,774)
ექსპერტიზის ჩამოწერები (UZMANLIK AMORTISMAN)	(887,436)
სულ ჯამი	(9,162,329)

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

7. სხვა საოპერაციო შემოსავლები

სხვა საოპერაციო შემოსავლები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 7

ანგარიშგება	2021
მეორადი პენოპლასტის რეალიზაცია	103
პლასტმასის მეორადი ყუთის რეალიზაცია	116
მეორადი კარტონის რეალიზაცია	1,859
მეორადი ავზის რეალიზაცია	2,493
მეორადი პლასტიკის რეალიზაცია	918
შავი ჯართი	6,400
სულ ჯამი	11,889

8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 8

ანგარიშგება	2021
ადმინისტრაციული ხელფასები (IDARI MAASLAR)	(206,488)
მივლინების ანაზღაურება	(2,952)
საპენსიო ანარიცხები	(29,160)
დაზღვევა	(17,174)
კომპიუტერის ხარჯები	(50)
ახალი ცვეთა	(13,173)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(400)
მოგების გადასახადის ხარჯი - ყოველთვიური	(44)
სულ ჯამი	(269,441)

9. სხვა საერთო ხარჯი

სხვა საერთო ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ანგარიშგება	2021
ბანკის მომსახურების საკომისიო % (BANKA %)	(5,366)
სამედიცინო მასალების და ლაბორატორიული კვლევების ხარჯები	(1,676)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(218)
საჯარო რეესტრის ხარჯები	(65)
სხვადასხვა მომსახურებები ადმინისტრაციული დანიშნულების	(4,368)

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

დაცვისა და უსაფრთხოების ხარჯი	(49,641)
ნაგავსაყრელის მომსახურების ხარჯი	(3,552)
საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურების ხარჯი	(23,992)
მიმდინარე რემონტის-ტექნიკური ხარჯები	(22,538)
სამეურნეო ხარჯი (DIGER TUKETIM)	(540)
RS და შსს მომსახურების სააგენტოს ხარჯი	(380)
საწვავის ხარჯი	(221)
კომუნალური ხარჯები - ადმინისტრაციული დანიშნულების	(14,267)
უნიფორმის ჩამოწერა	(332)
საწევრო გადასახადები	(1,800)
IT და კომპიუტერის ხარჯი	(908)
ექსპერტიზის ხარჯი (EQSPERT UCETLARI)	(1,271)
ჰიგიენური/საწმენდი საშუალებებისა და დეზინფექციის ხარჯები	(8,383)
საფოსტო მომსახურებები	(293)
სატრანსპორტო საშუალებების მომლა შენახვა	(5,422)
ავტომატური ვარგისიანობის ტესტირების ხარჯი	(271)
მანქანა დანადგარების ნაწილები	(63,562)
პარკირების გადასახადი	(3)
სატრანსპორტო გადაზიდვების ხარჯი	(5,625)
საბუღალტრო პროგრამა ორისის განახლება	(803)
ექსპორტიორის ცნობის/ბარათის/სერტიფიკატის, ნებართვების ხარჯები	(606)
ცეცხლმაქრის დამუხტვის ხარჯები	(734)
ტირის ხარჯი	(13,029)
საკანცელარიო ხარჯი	(1,796)
სულ ჯამი	(231,658)

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 10	
ანგარიშგება	2021
სახელმწიფო სუფსიდირება	84,047
საპენსიო სააგენტოს კორექტირება	141
შიდა ინვენტარიზაციის შედეგობა	194,428
შემოსავალი აუნაზღაურებელი მომსახურებიდან	3
სხვა დღგ	29
საპენსიო სააგენტოდან მიღებული შემოსავალი	95
შიდა ინვენტარიზაციის შედეგობა	2,800
სულ ჯამი	281,543

11. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

სხვა არასაოპერაციო ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 11

ანგარიშგება	2021
COVID 19 სხვა ხარჯები	(2,130)
ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია	(500)
საურავი	(15)
დასკვნა განხორციელებული ინვესტიციების შესახებ	(1,250)
შემოსავლების ჯარიმა (VELIR SERVIS CEZA)	(7,921)
არასაოპერაციო ხარჯი	(250)
საქველმოქმედო ხარჯები	(350)
სხვა გადასახდელები (სანდასუფთავების დავალიანების განწილვალება)	(8,437)
სულ ჯამურად	(20,853)

11. ფაქტიური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებები

საგადასახადო სისტემა

საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახადების დარიცხვასა და გადახდასთან. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, დღგ, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები. საგადასახადო დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება საქართველოს სხვადასხვა სახის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის საქმიანობა ხორციელდება კანონთან სრულ შესაბამისობაში იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შედარებით გაურკვევლობა ამა თუ იმ გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, დარიცხვები ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში არა აქვს რაიმე სახის იურიდიული ვალდებულება ან მოთხოვნა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სამართლებრივი დავა.

დაზღვევა

კომპანია საანგარიშო პერიოდში სარგებლობს სადაზღვევო მომსახურებით, სადაზღვევო პაკეტი მოიცავს, თანამშრომელთა სიცოცხლის დაზღვევას.

1. ფინანსური რისკის ფაქტორები

სავალუტო რისკი

კომპანიის ოპერაციები ხორციელდება როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე უცხოურ ვალუტაში. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში. ასეთი სიტუაცია იწვევს საკურსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების არსებობას. თუმცა დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე წარმოიქმნება საკურსო სხვაობები, რომლებიც ჩართულია ანგარიშგებებში.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა მოქნილობაში, რომელიც წარდგება მომწოდებლებისაგან. კომპანია ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებით დაფინანსების წყაროებს.